ასე დაირგა ქულა

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 13 ივნისი.

“დინამო” (თბილისი) _ “ზენიტი” (ლენინგრადი) 2:2 (2:0).

“ზენიტი”: კავაზაშვილი, მეშჩერიაკოვი, სოვეიკო, სტეპანოვი, დერგაჩოვი, პიკაიკინი, ა. ივანოვი, რიაზანოვი (მ. ივანოვი), მოროზოვი, ზავიდონოვი, ბურჩალკინი.

“დინამო”: კოტრიკაძე, სიჭინავა, ჩოხელი, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, დათუნაშვილი, კალოევი, ჟორდანია, მესხი.

მსაჯი ა. მენშიკოვი (მოსკოვი).

განვლილი მატჩის მნიშვნელობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ახლა, როცა დაიწყო საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრე და დარჩენილი მატჩები თითებზეა ჩამოსათვლელი, თითოეულ ქულას აქვს უაღრესად მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი ღირებულება. დაკარგულის ასანაზღაურებლად რჩება ერთობ მცირე დრო, მეტად მცირე შესაძლებლობანი და ამიტომ ყოველი შეცდომა შეიძლება საბედისწერო გამოდგეს.

ასეთი სერიოზული შეცდომა დაუშვეს გუშინ თბილისის დინამოელებმა და დაკარგეს ძვირფასი ქულა, რომელიც მატჩის დასასრულს, მე-80 წუთზე მათ თითქოს საიმედოდ ჰქონდათ განაღდებული.

თბილისელებმა კარგად ჩაატარეს პირველი ტაიმი. თამაში საერთოდ არ იყო საინტერესო და დაძაბული, მაგრამ მასპინძლები თავიანთ მოწინააღმდეგეებზე შესამჩნევად უკეთესად გამოიყურებოდნენ, უკეთ მოქმედებდნენ თავდასხმაში, თავიანთი კონტროლის ქვეშ ჰქონდათ მინდვრის შუაგული და თუ დაცვაში ადგილი ჰქონდა ხოლმე შეცდომებს, ყველაფერს ასწრებდა და ასწორებდა ჩვენი შესანიშნავი ფეხბურთელი გივი ჩოხელი. შეტევაში, როგორც ყოველთვის, არ იქნა გამოყენებული მთელი რიგი საუკეთესო შესაძლებლობანი, მაგრამ ანგარიში 2:0 (ბურთები გაიტანეს ჟორდანიამ და მელაშვილმა) საკმაო უპირატესობა იყო პირველი 45 წუთისათვის.

დაიწყო მეორე ტაიმი. თბილისელები ერთხანს კიდევ ფლობდნენ ინიციატივას, მაგრამ საერთო სამოქმედო სქემაში თანდათან თავი იჩინა შეცდომებმა, რამაც საბოლოოდ “დინამო” მიიყვანა თითქმის განაღდებული ქულის დაკარგვამდე.

აშკარად არასწორად, გუნდისათვის ერთობ საზიანოდ თამაშობდა იამანიძე. მაშინ, როცა თავდამსხმელებმა, სადაც უკიდურესად პასიურად, ზედმეტ ტვირთად გამოიყურებოდა მესხი, თანდათან შეწყვიტეს ბრძოლა და უბრძოლველად დაუტოვეს ბურთი მოწინააღმდეგე მცველებს, იგი ძველებურად განაგრძობდა “დამოუკიდებლად” მოქმედებას და მოპირდაპირე ნახევარზე რჩებოდა, ხოლო მის კართან უთანასწორო ბრძოლა წარმოებდა “ზენიტის” ფორვარდებსა და “დინამოს” მცველებს შორის. ამოცანა კი სულ იოლი იყო. დინამოელებს უნდა ჩაეკეტათ იერიშზე გადმოსული დერგაჩოვი და მჭიდროდ აეყვანათ თამაშში ახლად შემოყვანილი დასვენებული ძალა მ. ივანოვი. სწორედ მათი უშუალო და აქტიური დახმარებით გაქვითა ზავიდონოვმა ორივე გოლი.

განვლილი მატჩის მიხედვით კიდევ ბევრი სასაყვედურო შეიძლება ითქვას დინამოელთა მიმართ. მაგრამ ამჯერად, ვფიქრობთ, საჭიროა ლაპარაკი მომავალზე, რომელიც არც თუ მაინცდამაინც პერსპექტიულია. გუშინ გუნდის შემადგენლობაში არ თამაშობდა სამი წამყვანი მოთამაშე _ ღოღობერიძე, თორაძე და ბარქაია. მომავალ მატჩებში ვერ ითამაშებენ _ მესხი, კალოევი და ჩოხელი, რომლებიც საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში მონაწილეობისათვის მიემგზავრებიან თითქმის ერთი თვით.

აი ამ მძიმე მდგომარეობაში, როცა გუნდს არ ეყოლება 6 ძირითადი მოთამაშე, საჭიროა მაქსიმალური მონდომებისა და ენერგიის, მთელი შესაძლებლობების გამოვლენა, რათა არ განმეორდეს გუშინდელი ისტორია და კოლექტივმა შეინარჩუნოს თავისი სახე.

ცუდად ჩაატარეს თამაში “დინამოს” დუბლიორებმაც, რომლებმაც დამარცხება განიცადეს “ზენიტთან” მატჩში ანგარიშით 0:3.

ბ. ქორქია.
“ლელო”, 14 ივნისი, 1960 წ.